სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №347

ქ. თბილისი ,, 21" დეკემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნინო თოფურიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სუპერი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე ხაზარაძეს სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ნინო თავაძის *21.12.2017 წლის მ/ბ N15/02--3028* -ის თანახმად ***" სათამაშო ბუშტები და ბურთები" -ს CPV 37525000)*** შესყიდვა შემდეგი ოდენობით:

N	საქონლის დასახელება	რაოდ.	ერთ.ფასი	სრ. ფასი
1	1*4 პლასტმასის ბურთი ოქროსფერი 10 სმ	4	4.30	17.20
2	პრომო 1*6 პლასტმასის ბურთი წითელი 7 სმ	1	2.90	2.90
3	პლასტმასის ბურთი მბზინავი ვერცხლისფერი 12 სმ	2	4.60	9.20
4	ბრჭყვიალები - ოქროსფერი, ვერცხლისფერი	3	2.50	7.50
5	საახალწლო დეკორატიული სათამაშო	2	2.50	5
6	პლასტმასის ბურთი მბზინავი თეთრი 12 სმ	3	4.60	13.80
7	პლასტმასის ბურთი მბზინავი წითელი 12 სმ	4	4.60	18.40
8	პრომო 1*6 პლასტმასის ბურთი ოქროსფერი 7 სმ	1	2.90	2.90
	ჯ ა მ ი :			76.90

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს: ***76.90 (სამოცდათექვსმეტი ლარი) 90 თეთრს.***

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ***ამავე უნივერსიტეტის 2017 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახსრების ფარგლებში.***

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2017 წლის 21 დეკემბრიდან 2017 წლის 25 დეკემბრამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. *შემსყიდველი უფლებამოსილია:*

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

6.2. *შემსყიდველი ვალდებულია:*

- უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მელორ მილორავა.

7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, 2 (ორი) ეგზ შემსყიდველთან და 1(ერთი)ეგზ მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შპს "სუპერი"
თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №9	თბილისი, კოსტავას ქ. #23
ს/კ 205224700	ს/კ205050905
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ	სს "ტერა ბანკი"
ბანკის კოდი REPLGE22	ბ/კ TEBAGE22
ანგარიში: GE21BR0000010805828268	ანგ.№ GE79KS0000000360203851
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
ნინო თოფურიძე	ივანე ხაზარაძე
/ნ. თოფურიძე/	/ი. ხაზარაძე/